მარნეულის კოლეჯი
COLLEGE OF MARNEULI

შპს მარნეულის კოლეჯის სამი წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

- **2021-2022**
- **2022-2023**
- **2023-2024**



სამი წლის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერის პროგრამა ვითარდება სტაბილურად, თუმცა გარკვეული პრობლემური ასპექტები კვლავ არსებობს. რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა წლების მიხედვით მერყეობს. 2022–2023 წელს დაფიქსირდა აშკარა ზრდა, განსაკუთრებით 18–25 და 26–35 ასაკობრივ ჯგუფებში, რაც მიუთითებს პროგრამის მიმართ გაზრდილ ინტერესზე. 2023–2024 წელს კი რაოდენობა მცირდება.





წლების განმავლობაში კვალიფიკაციის მინიჭების მაჩვენებელი გაიზარდა. ეს მიუთითებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე. პროგრამა ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება უფრო შედეგიანი და ეფექტური.



ყველა წელს ფიქსირდება სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევები. ძირითადი მიზეზებია მოდულების აუთვისებლობა და ქართული ენის სირთულე. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ იზრდება, ეს საკითხი მაინც პრობლემაა და საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას.



პროგრამაზე სწავლობენ როგორც გოგონები, ისე ბიჭები, თუმცა მამაკაცთა რაოდენობა მაინც უფრო მეტია.

სტუდენტთა მობილობა პრაქტიკულად არ ფიქსირდება. ეს მიუთითებს სტაბილურობაზე და იმაზე, რომ სტუდენტები ძირითადად კმაყოფილნი არიან პროგრამით და სასწავლო გარემოთი. საერთო ჯამში, პროგრამა აჩვენებს პოზიტიურ დინამიკას და განვითარების პოტენციალს.



სამი წლის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ „აღმზრდელის“ პროგრამა სტაბილურად ფუნქციონირებს და ინარჩუნებს სტუდენტთა ინტერესს. მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა მცირედ მერყეობს, 2023–2024 წლებში შეინიშნება ზრდის ტენდენცია, რაც პროგრამის მიმართ გაზრდილ ინტერესზე მიუთითებს.



ჩარიცხულთა მაჩვენებელიც მერყევია, თუმცა საერთო სურათში პროგრამა ინარჩუნებს ინტერესის მაღალ დონეს. პროგრამის მონაწილეთა უმრავლესობა წარმოადგენს ზრდასრულ ასაკის (26–35 და 36+) ქალებს. სამივე წელს მხოლოდ მდედრობითი სქესის სტუდენტი ჩაირიცხა



კვალიფიკაციის მინიჭების მაჩვენებლის ზრდა ასახავს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც პროგრამის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია.



სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევები წლიდან წლამდე მცირდება.



მობილობის დაბალი მაჩვენებელია, რომელიც ძირითადად საცხოვრებელი ადგილის ცვლილებას უკავშირდება. ეს მიუთითებს პროგრამის სტაბილურობაზე და მონაწილეთა კმაყოფილებაზე. საერთო ჯამში, პროგრამა აჩვენებს პოზიტიურ დინამიკას.



საფინანსო სერვისების პროგრამა 2023-2024 წლებში- პროგრამის მიმართ ინტერესი მაღალია დაინტერესებულ აპლიკატებში. განსაკუთრებით 18–25 წლის ასაკობრივ ჯგუფში.



ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა რეგისტრირებულთა ფონზე მცირედით დაბალია.



კვალიფიკაციის მინიჭების სტატისტიკა აჩვენებს, რომ კურსის წარმატებით დასრულება ძირითადად მდედრობითი სქესის სტუდენტებმა შეძლეს (19 მდედრობითი, 2 მამრობითი). კვალიფიკაციის მიღების პროცენტი ჩარიცხულთა რაოდენობასთან შედარებით დაბალია.



სქესობრივი მაჩვენებლები შედარებით დაბალანსებულია: გოგო-ბიჭის თანაფარდობა ამ ასაკში დაახლოებით თანაბარია, რაც პოზიტიურად ასახავს პროგრამის სქესობრივ მრავალფეროვნებას.



სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევები გამოწვევას წარმოადგენს. საერთო შეჯამებით, 3 სტუდენტმა შეწყვიტა სწავლა, ხოლო 13 სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი. ძირითადი მიზეზები იყო: ქართულის მოდულის გადალახვის სირთულე, პროგრამის განსაზღვრული მოდულების 50%-ის არ დადასტურება და პირადი განცხადება.

მობილობის მაჩვენებელი უმნიშვნელოა, გადმოსული ან გადასული სტუდენტები არ ფიქსირდება, რაც მიუთითებს, რომ გამოწვევები პროგრამის შიგნით წარმოიქმნება და არა პროფესიული გადანაწილების შედეგად. საერთო შეჯამებით პროგრამა პოპულარულია და ინარჩუნებს დაინტერესებას ახალგაზრდულ ჯგუფებში.



სამწლიან პერიოდში (2021–2024) ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამა აჩვენებს მზარდ დაინტერესებას სტუდენტებში. რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა მუდმივად იზრდება: პირველი წელიდან (2021–2022) დაწყებული, როდესაც რეგისტრირებულთა რაოდენობა 32 იყო, მესამე სასწავლო წელს (2023–2024) 71-მდე გაიზარდა. ეს ზრდა განსაკუთრებით გამოჩნდა ახალგაზრდულ ასაკობრივ ჯგუფში, 18–25 წლის სტუდენტებში, რაც მიუთითებს პროგრამის მაღალი აქტუალურობაზე ამ ასაკობრივი კატეგორიისთვის.


ჩარიცხული სტუდენტები
30
25
20
15
10
5
0
0
13
5
2
0
22
14
4
2
27
19
2
2021-2022
2022-2023
2023-2024
15-17
18-25
26-35
36+


კვალიფიკაციის მინიჭება
50
40
30
20
10
0
20
12
40
14
50
31
2021-2023
2022-2024
2023-2025
კურსდამთავრებულები
ჩარიცხული სტუდენტები
ჩარიცხული სტუდენტები
კურსდამთავრებულები


ჩარიცხული სტუდენტების სქესის განაწილება
60
50
40
30
20
10
0
2
18
1
39
0
50
2021-2022
2022-2023
2023-2024
მდედრობითი
მამრობითი



სტუდენტთა სტატუსის ცვლილება ამ სამ წელიწადში მუდმივი პრობლემაა. 2022–2023 წელს სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევების რაოდენობა გაიზარდა, რაც ძირითადად პირადი განცხადების საფუძველზე მოხდა, ზოგი ნაწილი კი აკადემიური მიზეზებით (გაცდენა, სასწავლო გეგმის შეუსრულებლობა). 2023–2024 წლებში სტატუსის ცვლილებების რაოდენობა შემცირდა, რაც შესაძლოა ასახავდეს ადმინისტრაციულ ან აკადემიურ პროცესში გარკვეულ გაუმჯობესებებს.



სტუდენტები ძირითადად შიდა მობილობით გადადიან სხვა სასწავლო მიმართულებებზე, როგორიცაა საექთნო პროგრამა, რაც მიუთითებს პროფესიული ინტერესის მცირე ცვლილებაზე, არა უკმაყოფილებაზე პროგრამის მიმართ. საერთო შეჯამებით ჩანს, რომ ფარმაციის პროგრამა წარმატებით ხორციელდება.



საექთნო განათლების პროგრამის მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა ვითარდება სტაბილურად და გამოირჩევა მზარდი ინტერესით, განსაკუთრებით ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მსურველთა შორის. საერთო სურათის მიხედვით, პროგრამა ყოველწლიურად იზიდავს მეტ აპლიკანტს, რაც მიანიშნებს როგორც პროფესიისადმი ნდობის ზრდაზე, ისე განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აპლიკანტთა რაოდენობის ანალიზი აჩვენებს აშკარა ზრდას: 2021–2022 წლებში რეგისტრირებული იყო მხოლოდ 51 აპლიკანტი, ხოლო 2023–2024 სასწავლო წელს მათი რაოდენობა 88-მდე გაიზარდა. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს პროფესიისადმი მზარდ ინტერესზე და კოლეჯისადმი ნდობის გაძლიერებაზე.



ჩარიცხულ სტუდენტთა მონაცემებიც პოზიტიურია. მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტთა რაოდენობა ყოველთვის აღემატება ჩარიცხულთა რიცხვს, მთლიანად ეს მაჩვენებელი სტაბილურად იზრდება. ასაკობრივი განაწილების მიხედვით, პროგრამაში ყველაზე აქტიურად მონაწილეობენ 18–25 წლის სტუდენტები, რაც ბუნებრივად ასახავს პროფესიისადმი ინტერესს ახალგაზრდებში. ამასთან, თვალშისაცემია ზრდასრული (26–35 და 36+) ასაკის მსურველთა ჩართულობაც, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ პროგრამა წარმატებით ემსახურება სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპს და საინტერესოა როგორც პირველადი განათლების მსურველთათვის, ისე კარიერის შეცვლის მსურველთათვისაც.



სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაჩვენებელი დროთა განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუ 2021–2022 წლებში დაფიქსირდა 9 შემთხვევა, 2023–2024 წელს მხოლოდ 2 სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, ისიც პირადი მიზეზების გამო. ეს მიუთითებს როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზების გაუმჯობესებაზე, ისე სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებაზე. მობილობის მაჩვენებელი დაბალია, თუმცა ეს ფაქტი დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან სტუდენტთა უმრავლესობა აგრძელებს სწავლას იმავე პროგრამაზე.



შიდა მობილობის შემთხვევებიც ძირითადად უკავშირდება პროფესიული ინტერესის შეცვლას, რაც ბუნებრივი პროცესია. 2021–2024 წლების მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ საექთნო განათლების პროგრამა განიცდის სტაბილურ ზრდას როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მიმართულებით.



საინტერესოა ისიც, რომ ბოლო წლებიდან პროგრამაში ჩართვა დაიწყეს მამაკაცებმა, რაც ადრე პრაქტიკულად არ ხდებოდა. ეს ტენდენცია მნიშვნელოვანია, რადგან ქმნის

საფუძველს სქესობრივი ბალანსის ეტაპობრივი გაუმჯობესებისთვის პროფესიულ განათლებაში.



2023-ის მიღების სტუდენტებს კვალიფიკაცია 2026-ში მიენიჭებათ

საბოლოო ჯამში, იზრდება აპლიკანტთა და ჩარიცხულთა რაოდენობა, მცირდება სტატუსის შეჩერების შემთხვევები, ფიქსირდება სქესობრივი მრავალფეროვნების გაუმჯობესება და სტუდენტთა სტაბილურობა. მიუხედავად ამ პოზიტიური ტენდენციებისა, ჯერ კიდევ არსებობს გასაუმჯობესებელი ასპექტები. პირველ რიგში, საჭიროა რეგისტრირებულთა და ჩარიცხულთა შორის არსებული სხვაობის შემცირება - რაც შეიძლება მიღწეულ იქნას დამატებითი ადგილების შექმნით რათა კოლეჯმა შეძლოს მეტი სტუდენტის მიღება.